საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

გაიმართა რესპუბლიკის კომკავშირის XXX ყრილობაზე არჩეული საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმი გახსნა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ჟიტენიოვმა.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ჟ. შარტავა, მეორე მდივნად — პ. ბარციცი, მდივნებად — ვ. ბაქრაძე და მ. ფაჩუაშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში პლენუმმა აირჩია ჟ. შარტავა, პ. ბარციცი, ვ. ბაქრაძე, მ. ფაჩუაშვილი, ჯ. ბერიძე, ნ. ენდელაძე, ა. სანებლიძე, ო. ლორთქიფანიძე, ფ. მახარაძე, ვ. შუბლაძე, გ. საქსონოვი, თ. ხარშილაძე, რ. გორდეზიანი. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომკავშირულ ორგანიზაციათა განყოფილების გამგედ პლენუმმა დაამტკიცა ჯ. ბერიძე, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ — გ. ჯაფარიძე, მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ — რ. ღარიბაშვილი, სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ — ვ. ასათიანი, სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგედ — ო. სიამაშვილი, საერთო განყოფილების გამგედ — ვ. ჩომახიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველად — გ. გოლიაძე.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორად პლენუმმა დაამტკიცა ა. სანებლიძე, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორად — ო. ლორთქიფანიძე, ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორად — ჯ. ჩარკვიანი, ჟურნალ „პიონერის" რედაქტორად — ბ. შელია, ჟურნალ „დილის" რედაქტორად — მ. მაჭავარიანი, გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქტორად — ი. ცერცვაძე.

„კომკავშირული პროჟექტორის" რესპუბლიკური შტაბის თავმჯდომარედ დამტკიცებულია პ. ბარციცი, მდივნად პროპაგანდისა და კულტმასობრივი მუშაობის დარგში — ვ. ბაქრაძე, მდივნად მოსწავლე ახალგაზრდობასთან და პიონერებთან მუშაობის დარგში — მ. ფაჩუაშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ბ. გიგიბერია, პ. გილაშვილი, შ. კიკნაძე, ზ. პატარიძე, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ა. ჩურკინი, გ. ძოწენიძე, გ. ჯავახიშვილი, შ. ყარყარაშვილი.

გაიმართა საქართველოს ალკკ ახლად არჩეული სარევიზიო კომისიის სხდომა. ამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ი. ორჯონიკიძე. (საქინფორმი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1974 წ.
№ 35
(5065)
19 თებერვალი, სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ძიუდოისტთა V ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი.

• • •

სურათზე: მონაწილენი ემზადებიან ასპარეზობისთვის.
მ. ზარგარიანის ფოტო.

(მეჯიბრების ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

ქრონი

● მოსკოვი, 17 თებერვალი. ოლიმპიური ჩემპიონის, კიეველი ვ. სიდიაკის გამარჯვებით დამთავრდა აქ გამართული ესპადრონისტთა საერთაშორისო ტურნირი. ასპარეზობაში მონაწილეობდა ბულგარეთის, გდრ-ის, იტალიის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის 200-მდე სპორტსმენი. მონაწილეთა შორის იყვნენ: იტალიელები ა. მონტანო და მ. მაფეი, მიუნჰენის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელი ვ. ნაზლიმოვი და სხვ. გუნდური პირველობა მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა.

● დაუგავპილსი, 17 თებერვალი. ესტონელმა ავტომრბოლელებმა მოიგეს აქ დამთავრებული საკავშირო პირველობა ზამთრის ავტორალიში — „ბალტიისპირეთი — 74". II ადგილი დაიკავეს რსფსრ-ს, III — მოსკოვის გუნდებმა.

● რიგა, 17 თებერვალი. აქ მიმდინარე ფრენბურთელ ვაჟთა ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმეს დნეპროპეტროვსკის „ავტომობილისტის" სპორტსმენებმა, რომლებმაც 150-წუთიანი ბრძოლა მოუგეს ოდესის ლენინის სახელობის ტექნოლოგიის ინსტიტუტს — 3:2 (12:15, 15:13, 15:7, 7:15, 15:11). სხვა მატჩები ასე დამთავრდა: მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი — „ლოკომოტივი" (კიევი) — 3:1, ასკ (როსტოვი) — „დინამო" (ლენინგრადი) 3:1, „რადიოტექნიკა" (რიგა) — „დინამო" (მოსკოვი) 3:2, „დოროჟნიკი" (ალმა-ათა) — „ზვეზდა" (ვოროშილოვგრადი) 3:1. ცსკა — „ავტომობილისტი" (ლენინგრადი) 3:2.

[illegible]

მასპინძლებმა იმარჯვეს

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

ტარტუ. ადგილობრივმა „კალევმა" უმასპინძლა მინსკის რტი-ს. ესტონელთა უპირატესობა აშკარა იყო — 103:72.

მოსკოვი. ჩემპიონატის ლიდერმა ცსკა-მ მიიღო კიევის „სტროიტელი". გაიმარჯვეს არმიელებმა — 88:75.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 თებერვლისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	15	14	1	1362—1169	14
სპარტაკი" (ლენ.)	15	12	3	1114—992	12
„კალევი" (ტარ.)	15	10	5	1204—1095	10
„სტროიტელი" (კიევი)	16	9	7	1316—1262	9
„დინ." (მ.)	14	7	7	1111—1101	7
„დინამო" (თბ.)	16	7	9	1210—1237	7
რტი (მ.)	15	5	10	1053—1209	5
„ჟალგირისი" (კ.)	14	4	10	1035—1068	4
ასკ (რიგა)	15	4	11	1119—1258	4
ასკ (კ.)	15	3	12	1093—1226	3

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ლიდერთა შავი დღე

კიევი, 18 თებერვალი. კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. ჯერ ერთი, ზედიზედ ორჯერ დამარცხდა გათამაშების ლიდერი — ლენინგრადის „სპარტაკი", ნევისპირელებმა დათმეს მატჩი კიევის „დინამოსთანაც" (56:60) და რიგის ტტტ-სთანაც (54:55).

დამარცხდა ლიდერის უშუალო მდევარი, სვერდლოვსკის „ურალმაშიც". სვერდლოვსკელებმა წააგეს შეხვედრები ტტტ-სთან (47:63) და კიევის დინამოელებთან (52:62).

სამაგიეროდ, ბოლო ორმა დღემ აშკარად გამოაკეთა მოსკოვის ოლქის „სპარტაკის", კიევის „დინამოს" და რიგის ტტტ-ს მდგომარეობა. საპრიზო ადგილებისთვის ახლა ფაქტიურად ეს 5 კოლექტივი იბრძვის.

გთავაზობთ დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს: „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 64:56, „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) 70:62, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) 70:60, „დინამო" (მოსკოვი) — „სტროიტელი" (ფრუნზე) 69:50, „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „კიბირკშტისი" 74:68, „სტროიტელი" — „სერპ ი მოლოტი" 71:66, „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 65:63, „დინამო" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) 79:48.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 თებერვლისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (ლენ.)	22	18	4	1443—1103	18
„ურალ."	22	17	5	1359—1218	17
„სპარტაკი" (მ. ოლ.)	22	17	5	1491—1412	17
„დინ." (კ.)	22	15	7	1453—1351	15
ტტტ (რიგა)	21	14	7	1325—1210	14
„დინამო" (მოსკ.)	22	12	10	1411—1271	12
„ბურევესტნიკი" (ალ.-ათა)	22	10	12	1350—1388	10
„კიბირკშტისი" (ვილნ.)	22	10	12	1334—1368	10
„ბურევესტნიკი" (ლენ.)	22	6	16	1192—1429	6
„სპარტაკი" (მოსკ.)	21	4	17	1150—1283	4
„სერპ ი მოლ." (მ.)	22	4	18	1273—1435	4
„სტროიტელი" (ფრ.)	22	4	18	1246—1559	4

დაკარგული „ოქრო"

ინსბრუკი, 17 თებერვალი. სპრინტერულ მრავალჭიდში მსოფლიო ჩემპიონატის მეორე დღეს გორკელ მოციგურავეს ტატიანა ავერინას... ოქროს მედალი წაართვეს.

ქალებმა 500 მეტრზე აიღეს სტარტი. მოგების შემთხვევაში ავერინა მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა. საქმე ისაა, რომ სამ დისტანციაზე გამარჯვების შემდეგ სპორტსმენი მრავალჭიდში ჩემპიონად ცხადდება, მიუხედავად მეოთხე სტარტის შედეგისა.

ავერინას და შ. იანგის (აშშ) გარბენი მსოფლიო რეკორდზე დიდი სისწრაფით წარიმართა. ბოლო წრეზე ბილიკების შეცვლისას ავერინამ უმნიშვნელო დაბრკოლება შეუქმნა მეტოქეს.

იანგი ფინიშთან პირველი მივიდა — 1.27,35, რაც სულ 0,05 წამით ჩამოუვარდება მსოფლიო რეკორდს. ავერინამ 1.28,73 აჩვენა. საბჭოთა სპორტსმენს მრავალჭიდში ოქროს მედალი უნდა მიეღო, მაგრამ ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა ჟ. ჰეკლიმ (საფრანგეთი) მას მოულოდნელად დისკვალიფიკაცია მისცა — ბილიკების შეცვლის დროს შ. იანგს ხელი შეუშალაო.

საბჭოთა დელეგაციამ პროტესტი შეიტანა. რამდენიმეჯერ ნახეს გარბენის ვიდეოჩანაწერი, მაგრამ ჰეკლიმ თავისი გადაწყვეტილება არ შეცვალა, როგორც ჩანს, „მუნდირის ღირსების" დაცვა სურდა. მან ისე მოაწყო დაჯილდოების ცერემონიალი, რომ პროტესტის განხილვისთვის არც დაუცდია.

ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონად გამოცხადდა პოულოსი (აშშ) — 180,415 ქულა. II ადგილი დაიკავა ჰოლანდიელმა კეელეჩ-დელსტრამ — 180,990, III — დასავლეთგერმანელმა პფლიუგმა — 181,275. სმოლენსკელი ლ. სადჩიკოვა მეოთხე იყო. ვაჟებში ასევე IV ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ა. საფრონოვმა. გაიმარჯვა ნორვეგიელმა პ. ბიორანგმა — 160,750 ქულა.

დრამატული ფინალი

მთელი ხუთი წუთის მანძილზე ტრიბუნებზე ენით აუწერელი ხმაური იდგა. მაყურებლები ტაშითა და შეძახილებით ამხნევებდნენ საყვარელ ფალავანს, რომელსაც ერთადერთი, მტკიცე და ლოგიკური გზით მიჰყავდა ბრძოლა გამარჯვებამდე. ფავორიტმა ბრწყინვალედ დაიწყო ეს ტურნირი, რამდენიმე ლამაზი გამარჯვება მოიპოვა, მერე ტაქტიკურად სწორად ააგო ფინალური შეხვედრა და ამ უთანაბრო ბრძოლაში ყველას სიმპათია დაიმსახურა.

მაგრამ გამარჯვების სასიამოვნო მოლოდინში მან ერთი შეცდომა მაინც დაუშვა. უფრო სწორად, ეს შეცდომაც არ იყო. უბრალოდ, იგი აჰყვა ტრიბუნების განწყობილებას და უკვე აბსოლუტურად „მოსაგებ პოზიციაში“ ეფექტური წერტილის დასმა მოინდომა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული თავის ძალაში, თორემ რისკს არც გასწევდა. იგი უეჭველად წინა გამარჯვებების ეფექტით იყო გაბრუებული და არ უფიქრია, რომ იმ ზედმეტ 50 კილოგრამს, რომელიც მეტოქის პირველი და უკანასკნელი კოზირი იყო, შეეძლო მდგომარეობის მკვეთრი შემობრუნება.

... ფავორიტმა ზეაიტაცა 150-კილოგრამიანი მასა (უკვე თავისთავად ეს იყო საეჭვო ჩანაფიქრი) და ის-ის იყო შემობრუნებას აპირებდა, რომ ძალამ უმტყუნა, უმტყუნა სულ ბოლო მომენტში, ფავორიტი მძიმედ დაეცა სარბიელზე და თან გადაიყოლა მთელი ეს 150 კილოგრამი. იგი ქვემოთ მოექცა, მეტოქე — ზემოთ. რაიმე ტექნიკურ სასწაულზე ფიქრი უაზრობა იყო. დროს უნდა გადაეწყვიტა, გაუძლებდა თუ არა ქვემოთ მყოფი ამ ზეადამიანურ დაწოლას.

ვერ გაუძლო! ვერ გაუძლო იმიტომ, რომ ასეთ კრიტიკულ სიტუაციებში მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცოცხალი წონის ყოველ კილოგრამს. აქ კი სხვაობა სამ ფუთზე მეტს შეადგენდა. იგი დანებდა მაშინ, როცა გამარჯვება თითქმის უდავო იყო, როცა ასე ახლოს ჩანდა საპატიო კვარცხლბეკი და თბილისის V საერთაშორისო ტრადიციული ტურნირის ჩემპიონის სახელი.

ასე დასრულდა ბრძოლა აბსოლუტურ წონით კატეგორიაში. ისღა დაგვრჩენია, რომ დავასახელოთ ამ დრამატული ფინალის მოქმედი პირნი: თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ძიუდოისტი, გიგანტი პაკ ჩო კირი (სიმაღლე 202 სმ, წონა 150 კგ) და მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონი შოთა ჩოჩიშვილი.

ჩოჩიშვილმა ამ ტურნირში II ადგილი დაიკავა, მაგრამ იგი უდავოდ უძლიერესი იყო. ამას, სხვათა შორის, ყველა უცხოელი სპორტსმენი და სპეციალისტი აღიარებს, მათი რიცხვი კი ამ ტურნირში არც ისე ცოტა იყო. ჩოჩიშვილი საუცხოოდ იბრძოდა და რამდენიმე ლამაზი, დასამახსოვრებელი გამარჯვებაც მოიპოვა: კორეელ კინ ჯე სის 20 წამში მოუგო, იაპონელ ნ. სიგემაცუს — მსოფლიოს ჩემპიონს სტუდენტთა შორის — 3 წუთსა და 30 წამში, ფრანგ რ. ბერტეს კი — 18 წამში. მან ნახევარფინალში ქულებით დაამარცხა სსრ კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ა. ზვერინცევი, რომელიც 22 კილოგრამით უფრო მძიმე იყო, და მხოლოდ ფინალში ამ დასანანი მარცხის გამო დათმო I ადგილი.

საბედისწერო ილეთის ჩატარება ჩოჩიშვილმა მე-6 წუთზე განიზრახა. მანამდე კი მას უკვე მოპოვებული ჰქონდა 1 ვაზარი (ქულა) და 2 იუკო (ნახევარი ქულა). ასეთი უპირატესობა ძიუდოში გამარჯვების უდავო გარანტიაა მუდამ, ზოგიერთი საგანგებო შემთხვევის გარდა. ამ ბრძოლაში ეს საგანგებო შემთხვევა 5 წუთისა და 45 წამის შემდეგ მოხდა.

მარცხი მუდამ საწყენია, განსაკუთრებით ასეთი მოულოდნელი, მაგრამ იმ დღეს თბილისის სპორტის სასახლეს მაინც კმაყოფილების გრძნობით ვტოვებდით. საქმე ისაა, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ყველას თვალწინ, საქმით დაამტკიცა თავისი სიძლიერე, ხოლო ის ერთი უმნიშვნელო ტაქტიკური შეცდომა, რომელმაც ძირფესვიანად შეაბრუნა ფინალური ბრძოლის სურათი, მას სამაგალითოდ დარჩება და ალბათ გააფრთხილებს კიდეც მომავალში.

თბილისის საერთაშორისო ტურნირში საქართველოს ძიუდოისტებმა ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს: გ. გოგოლაური და ა. მუზაევი I ადგილებზე გავიდნენ, ა. წიკლაურს, თ. ხუბულურსა და შ. ჩოჩიშვილს II საპრიზო ადგილები ხვდათ. ბრინჯაოს ჯილდოები დაიმსახურეს გ. იობიძემ, ზ. ბახტაძემ, გ. ბაგაშვილმა და ჯ. ნიჟარაძემ. ახლა იმასაც უნდა გავუწიოთ ანგარიში, რომ ავადმყოფობის გამო ტურნირში მონაწილეობა ვერ მიიღეს შ. ფიცხელაურმა (რომელმაც სულ რამდენიმე ხნის წინ პარიზის საერთაშორისო ტურნირი მოიგო) და გ. ონაშვილმა. როგორც ხედავთ, შედეგი შესაძლოა უკეთესიც ყოფილიყო, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ, იმითაც სავსებით კმაყოფილი ვართ, რაც მოხდა.

ტურნირი, რომლის მოწმენიც ამ სამი დღის მანძილზე ვიყავით, ძლიერი იყო თავისი შემადგენლობით და მონაწილეთა რაოდენობით. ამბობენ, რომ თბილისის ტურნირმა საგრძნობლად გაუსწრო ყველა სხვა ოფიციალურ შეჯიბრებას და მნიშვნელობით მსოფლიო ჩემპიონატს გაუთანაბრდაო. სასიამოვნოა, როცა ასეთ სიტყვებს ისმენ, მით უმეტეს უცხოელებისგან.

როცა თბილისის V ტრადიციული ტურნირის მნიშვნელობაზეა ლაპარაკი, ხაზს უსვამენ ორ მთავარ გარემოებას. პირველი ის არის, რომ თბილისში მოხდა ახალი საერთაშორისო წესების გამოცდა და მისი სიცოცხლისუნარიანობის დადგენა. ახალმა წესებმა, რომლებიც საერთაშორისო ფედერაციამ სსრ კავშირის დელეგატთა წინადადებით მიიღო, სავსებით გამორიცხა შემთხვევითობის ელემენტი და, რაც მთავარია, მსაჯობა უფრო ობიექტური გახადა.

ტურნირის მეორე ღირსება ისაა, რომ მან ერთგვარი ფსიქოლოგიური გარდატეხა მოახდინა საბჭოთა და იაპონელ ძიუდოისტთა ურთიერთობაში. აქამდე თითქოს დაკანონებული იყო ასეთი გრადაცია: I ადგილები იაპონელებს, II — საბჭოთა სპორტსმენებს. დღეიდან კი ზღვარი საბჭოთა და იაპონელ ძიუდოისტთა შორის წაიშალა. თბილისში იაპონელებსა და საბჭოთა ძიუდოისტებს შორის 8 ბრძოლა გაიმართა. 4 იაპონელებმა მოიგეს, 4 — საბჭოთა ათლეტებმა.

ბრწყინვალედ იასპარეზა იაპონელი კ. იოსინაგას წინააღმდეგ გ. გოგოლაურმა. მან არავითარი შანსი არ დაუტოვა მეტოქეს და დაამარცხა იგი მისივე იარაღით — სწრაფი, გამუდმებული შეტევებითა და დახვეწილი ტექნიკით.

წმინდად მოუგო პრინციპული ბრძოლა იაპონელ ნ. სიგემაცუს შ. ჩოჩიშვილმაც. რაც შეეხება ა. ზვერინცევს, იგი სამჯერ შეხვდა იაპონელ ათლეტებს. მძიმე წონოსანთა ტურნირში ზვერინცევი დამარცხდა ხ. უემურასთან. სამაგიეროდ, ახალგაზრდა საბჭოთა ათლეტმა რევანში აიღო აბსოლუტურ წონაში და ბრძოლიდან გამოთიშა იაპონელი, მერე კი სიგემაცუსაც მოუგო.

მითი იაპონელთა უძლეველობაზე გაქრა. სასიამოვნოა, რომ ამ საქმის პიონერთა როლში საბჭოთა ათლეტები გამოვიდნენ.

ნ. გუგუშვილი.

ტექნიკური შედეგები:

მსუბუქი წონა. 1. ა. იშიმინე (იაპონია), 2. მ. ტისო (საფრანგეთი), 3. მ. ალჟაზი (საფრანგეთი) და ვ. მელნიჩენკო (სსრ კავშირი).

ქვესაშუალო წონა. 1. ვ. დვოინიკოვი, 2. ა. წიკლაური (ორივე — სსრ კავშირი), 3. ლ. ფერე (გდრ) და მ. ტალაი (პოლონეთი).

საშუალო წონა. 1. გ. გოგოლაური (სსრ კავშირი), 2. ფ. ჰოფმანი (გდრ), 3. კ. იოსინაგა (იაპონია) და გ. იობიძე (სსრ კავშირი).

ქვემძიმე წონა. 1. ა. მუზაევი, 2. თ. ხუბულური, 3. ზ. ბახტაძე და გ. ბაგაშვილი (ყველა — სსრ კავშირი).

მძიმე წონა. 1. ხ. უემურა (იაპონია), 2. ს. ნოვიკოვი, 3. ჯ. ნიჟარაძე და მ. გრიფი (სამივე — სსრ კავშირი).

აბსოლუტური. 1. პაკ ჩო კირი (კსდრ), 2. შ. ჩოჩიშვილი (სსრ კავშირი), 3. მ. მოროი (იაპონია) და ა. ზვერინცევი (სსრ კავშირი).

• • •



სურათზე: ასე იბრძოდა შოთა ჩოჩიშვილი ამ ტურნირში, ასე უმკლავდებოდა იგი მეტოქეებს. ფოტოზე აღბეჭდილია კორეელ კინ ჯე სისთან მისი ბრძოლის ფინალი, უფრო ზუსტად, შეხვედრის მე-20 წამი, რომელსაც მეტოქის სრული კაპიტულაცია მოჰყვა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ამინდის ჭირვეულობა

სათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს ფალუნი მაინცდამაინც გულღიად როდი შეხვდა — თოვლის უკმარობამ მასპინძლები საგონებელში ჩააგდო. მართალია, ეს პრობლემა სტარტამდე გადაწყდა — ტრამპლინსა და სარბენ ბილიკებზე თოვლის საფარი დააგეს, მაგრამ ამ დროს შვეციისთვის უჩვეულო სითბომ და წვიმამ სპორტსმენებს მზადებაში ძალიან შეუშალა ხელი.

და მაინც, ჩემპიონატი ორგანიზებულად დაიწყო. ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალს 40 ათასი მაყურებელი დაესწრო. მონაწილეებსა და სტუმრებს მიესალმნენ შვეციის სათხილამურო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარე ი. სტენბერგი და საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარე მ. ჰოლდერი (შვეიცარია). სიტყვით გამოვიდა შვეციის მეფე გუსტავ VI ადოლფი.

პირველ დღეს დარიგდა XXX მსოფლიო ჩემპიონატის მედლების ერთი კომპლექტი. საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში შეჯიბრება გდრ-ის „მფრინავი მოთხილამურეების“ აშკარა უპირატესობით ჩატარდა — უძლიერესთა ათეულში ამ ქვეყნის სამი წარმომადგენელი მოხვდა.

ჩემპიონი გახდა ჰ.-გ. აშენბახი — 258,9 ქულა (ნახტომები 90 და 85,5 მ), ვერცხლის მედალი ერგო დ. კამპფს (ორივე — გდრ) — 241,2 (85,5 და 83 მ), ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვა კიროველმა ა. ბოროვიკინმა (სსრ კავშირი) — 239,3. სხვა საბჭოთა სპორტსმენთა შედეგები ასეთია: მე-18 ადგილი. ს. ბოჩკოვი — 224,6 (84,5 და 80,5), მე-20. გ. ნაპალკოვი — 222,2 (81,5 და 79,5), 48-ე. ვ. კლეპაცკი — 191,3 (83,5 და 78,5).

ჩემპიონატის მეორე დღეს შეჯიბრება დაამთავრეს 30 კილომეტრზე მორბენალმა ვაჟებმა. მასპინძელთა გუნდის ლიდერი ტ. მაგნუსონი რბოლაში ბოლოს ჩაება. 10-კილომეტრიან მონაკვეთზე იგი უკვე ლიდერობდა. აქ მომდევნო ადგილებზე იყვნენ ი. ფორმუ (ნორვეგია), ი. გარანინი (სსრ კავშირი) და ი. მიეტო (ფინეთი). კიდევ 10 კილომეტრის გავლის მერე მიეტომ და ფორმუმ ადგილები გაცვალეს.

მაგნუსონმა უპირატესობა ფინიშამდე შეინარჩუნა და ოქროს მედალი მოიპოვა — 1:33.41,1. II ადგილი დაიკავა მიეტომ — 1:34.34,08, III — სტასცელმა (პოლონეთი) — 1:33.41,6. რუდნოელი გარანინი IV ადგილს დასჯერდა — 1:35.31,97. სხვა საბჭოთა მოთხილამურეთა მაჩვენებლები ასეთია: ი. სკობოვი (კიროვი) — 1:38.34,49, მე-19 ადგილი, ვ. დოლგანოვი (ნოვოსიბირსკი) — 1:39.23,09, 22-ე, ფ. სიმაშოვი (მოსკოვი) — 1:39.47,41, 26-ე.

ЗИМНЯЯ СПАРТАКИАДА
НАРОДОВ СССР - 1974
III

სპარტაკიადის მძლავრი ნაბიჯები

ორ კვირაზე ცოტა მეტი დარჩა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებამდე, რომლებიც 7 მარტს ბაკურიანსა და სვერდლოვსკში დაიწყება. ათდღიანი ბრძოლის შემდეგ გაირკვევა უძლიერესი სპორტსმენების, გუნდების, რესპუბლიკების ვინაობა, 17 მარტს კი შევიტყობთ, ვინ გაიმარჯვებს საერთო გუნდურ ჩათვლაში.

რაც უფრო ახლოვდება გადამწყვეტი სტარტები, მით უფრო მატულობს გუნდების მზადების ტემპი. ფინალური ასპარეზობისთვის სამზადისი ყველგან სხვადასხვაგვარად დაიწყო. ზოგიერთ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში სპარტაკიადები დამთავრდა, ნაკრები გუნდები დაკომპლექტდა, ზოგან კი შეჯიბრებები ახლაც მიმდინარეობს.

20 თებერვლიდან ბაკურიანში მოიყრიან თავს სამთომოთხილამურეები, მოციგავეები, ორჭიდელები და „მფრინავი მოთხილამურეები“. სხვა სახეობათა წარმომადგენლებს სვერდლოვსკი უმასპინძლებს. ცოტა გვიან ჩამოვლენ მოძმე რესპუბლიკების ის სპორტსმენები, საბჭოთა ნაკრების წევრები, რომლებმაც მანამდე ფალუნისა და მინსკის მსოფლიო ჩემპიონატებში უნდა მიიღონ მონაწილეობა.

მოსკოველებმა საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადება ამ დღეებში დაამთავრეს. დედაქალაქის სპარტაკიადაში, რომელიც პლანიორნაიას მიდამოებში გაიმართა, 300-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. გუნდური პირველობა დინამოელებმა მოიგეს.

მოსკოვის ნაკრებს საკავშირო სპარტაკიადაში მთავარი პრიზის მოპოვების იმედი აქვს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ რსფსრ-სა და ლენინგრადის, ყაზახეთისა და უკრაინის გუნდები, აღარას ვამბობთ სხვა რესპუბლიკებზე, უბრძოლველად ქულასაც არ დათმობენ. ლენინგრადის სპარტაკიადამ უკვე გასცა ბაკურიანის საგზურები. ორჭიდში ლენინგრადის ჩემპიონი გახდა ვ. ვინოგრადოვი („ბურევესტნიკი“) — 414,12 ქულა. II ადგილი დაიკავა არმიელმა ა. პოპოვმა — 403,48, III — ნ. ვორონინმა („ტრუდი“)—403,1. ტრამპლინიდან ხტომა მოიგო ა. ჟეგლანოვმა („შრომითი რეზერვები“) — 246,1 ქულა (ნახტომები 74,5 და 72,5). II ადგილი ხვდა ვ. გალკინს (ასკ) — 240,6, III — ვეტერან ს. ლენინსკის („შრომითი რეზერვები“) — 236,4. ორჭიდელებსა და „მფრინავ მოთხილამურეებს“ ფალუნიდან დაბრუნების შემდეგ ვ. კოპაევი და ბ. გოლოსოვიც დაემატებიან. თუ გავიხსენებთ, რომ 1966 წელს სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადაში ლენინგრადელმა „მფრინავმა მოთხილამურეებმა“ პირველობა მოიგეს, ხოლო ორჭიდელები II ადგილზე გავიდნენ. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ლენინგრადელთა გუნდი ახლა კიდევ უფრო ძლიერია, მაშინ აშკარა გახდება, თუ რატომ არ უნდა ჰქონდეთ მოსკოველებს იოლი გამარჯვების იმედი.

ყაზახეთის გუნდი ბოლო წლებში მრისხანე ძალად იქცა. ამ რესპუბლიკის ზამთრის სპარტაკიადის პროგრამით ბიატლონისტთა შეჯიბრება შჩუჩინსკში (კოკჩეტავის ოლქი) ჩატარდა და სტარტზე 80 მონაწილე გამოვიდა. მათ შორის 15 სპორტის ოსტატი იყო. მართალია, გუნდური პირველობა ალმაათელებმა მოიგეს, მაგრამ ამ რესპუბლიკის ნაკრებში სხვა გუნდების წარმომადგენლებიც ბლომად არიან.

საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადება უკვე მთავრდება ესტონეთშიც. ბოლო სახეობა ამ რესპუბლიკის IV სპარტაკიადის პროგრამაში ბიატლონი იყო. აქ ყველას აჯობა 22 წლის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, ტარტუს დინამოელმა მ. პაავომ, რომელმაც სამიზნეს მხოლოდ ერთი ტყვია ააცდინა. II ადგილზე გავიდა იუნიორთა შორის სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ტ. პიაესუკი.

რსფსრ-ში ზონალური შეჯიბრებები ეს-ესაა დამთავრდა, უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკური სპარტაკიადები კი ახლა დაიწყო. ბელორუსიის სპარტაკიადამ პირველი ჩემპიონები უკვე დაასახელა. ტრამპლინიდან ხტომაში ეს ტიტული მოიპოვა მინსკელმა რ. ფარახოვმა, ორჭიდში — მოგილოველმა ი. მურავიცკიმ.

სპარტაკიადა დაიწყო სომხეთშიც. ლენინაკანის მახლობლად, სოფელ ლერნანცკის მიდამოებში, ბიატლონისტთა შეჯიბრება ჩატარდა. სტარტზე 22 მონაწილე გამოვიდა. გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა რ. გრიგორიანმა („ბურევესტნიკი“) — 1:30.40. გუნდური პირველობა ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებმა მოიგო. სპარტაკიადის პროგრამით სომხეთის ისტორიაში პირველად ჩატარდა მოციგურავეთა შეჯიბრება, რომელსაც ლენინაკანის სტადიონი მასპინძლობდა. 32 სპორტსმენიდან ჩასათვლელი, II თანრიგის ნორმატივი ვერავინ შეასრულა, მაგრამ ისიც კარგია, რომ პირველ სტარტზე ამდენმა მონაწილემ მოიყარა თავი.

წახკაძორში მიმდინარეობს შეჯიბრებები სათხილამურო სპორტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხ-
ბურ-
თი-
74

სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდარი

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ დაამტკიცა 1974 წლის ჩემპიონატის კალენდარი უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის. გთავაზობთ შეხვედრათა განრიგს თბილისის „დინამოს“ გუნდის მონაწილეობით:

პირველი წრე:

12 აპრილი. „დინამო“ (თბილისი) — ცსკა.
21 აპრილი. „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი).
26 აპრილი. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).
2 მაისი. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი).
9 მაისი. „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი).
14 მაისი. „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).
23 მაისი. „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი).
31 მაისი. „დინამო“ (თბილისი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი).
10 ივნისი. „ყაირათი“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (თბილისი).
17 ივნისი. „კარპატი“ (ლვოვი) — „დინამო“ (თბილისი).
24 ივნისი. „დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი).
1 ივლისი. „დინამო“ (თბილისი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი).
9 ივლისი. „დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი).
13 ივლისი. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (თბილისი).
26 ივლისი. „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „დინამო“ (თბილისი).

მეორე წრე:

31 ივლისი. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (თბილისი).
6 აგვისტო. „დინამო“ (თბილისი) — „ყაირათი“ (ალმა-ათა).
14 აგვისტო. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი).
21 აგვისტო. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).
2 სექტემბერი. ცსკა — „დინამო“ (თბილისი).
9 სექტემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი).
15 სექტემბერი. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (თბილისი).
22 სექტემბერი. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი).
6 ოქტომბერი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი).
13 ოქტომბერი. „არარატი“ (ერევანი) — „დინამო“ (თბილისი).
20 ოქტომბერი. „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (თბილისი).
27 ოქტომბერი. „დინამო“ (თბილისი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი).
3 ნოემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „კარპატი“ (ლვოვი).
10 ნოემბერი. „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „დინამო“ (თბილისი).
17 ნოემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა).

ჩემპიონატის მთლიანი კალენდარი გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

პეტროსიანი — ნახევარფინალში

პალმა-დე-მალიორკა (ესპანეთი). ფინიშის მოახლოებამ გაამძაფრა ბრძოლა ტ. პეტროსიან (სსრ კავშირი) — ლ. პორტიშის (უნგრეთი) მატჩში. ორივე მეტოქე დიდ იმედებს ამყარებდა დასკვნით პარტიებზე, რომლებშიც თეთრებით უწევდათ თამაში.

XII პარტიაში, რომელშიც თეთრ ფიგურებს პორტიში თავკაცობდა, სლავური დაცვა გათამაშდა. შუა თამაშში პეტროსიანს სუსტი პაიკი აღმოაჩნდა. პორტიშმა მეთოდურად გააქარწყლა ამ პაიკის დამცველი ძალა და მოიგო იგი. პარტია გადაიდო ეტლების ენდშპილში, რაც პეტროსიანს თითქოს ყაიმის შანსს აძლევდა. მაგრამ პორტიშმა ზუსტი სვლებით შეხვედრა მოგებამდე მიიყვანა. ამ გამარჯვებით მან გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

XIII პარტია პეტროსიანმა დიდი ძალით ითამაშა. მან მარჯვედ გამოიყენა მეტოქის უზუსტობანი და პარტიის მოგებით მატჩშიც გაიმარჯვა — 3:2.

ამრიგად, პრეტენდენტთა ეს მატჩიც დასრულდა. ნახევარფინალურ მატჩში პეტროსიანი ვ. კორჩნოის შეხვდება.

• •

ჩვენი კომენტარი

დამთავრდა პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები. გამართლდა მიმომხილველთა უმრავლესობის წინასწარმეტყველება: გაიმარჯვეს მათ, ვისგანაც წარმატებას მოელოდნენ.

ბ. სპასკი (სსრ კავშირი) — რ. ბირნის (აშშ) მატჩში, რომელიც საბჭოთა დიდოსტატმა მოიგო — 3:0 (სამი ყაიმი), ბრძოლა ექვს პარტიაში დასრულდა. აშკარა იყო სპასკის უპირატესობა. იგი დებიუტში აღწევდა უკეთეს პოზიციას, რასაც მერე გამარჯვებით აგვირგვინებდა.

მატჩმა ცხადყო, რომ სპასკი საუკეთესო სპორტულ ფორმაში შევიდა.

ა. კარპოვ — ლ. პოლუგაევსკის (ორივე — სსრ კავშირი) ბრძოლაში სტარტზე ზედიზედ სამი პარტია ყაიმით დამთავრდა. მეტოქენი ერთმანეთს ზვერავდნენ. მერე კარპოვმა თეთრებით ზედიზედ სამი პარტია მოიგო. სამივე სიცილიური დაცვით იყო დაწყებული. მატჩის ანგარიშია 3:0 (ხუთი ყაიმი).

კარპოვი ძლიერი მეტოქე აღმოჩნდა. პოლუგაევსკის თავისმა საყვარელმა სიცილიურმა დაცვამ უღალატა.

სპასკი — კარპოვის ნახევარფინალური მატჩი უაღრესად საინტერესო უნდა იყოს. დღემდე მეტოქეებს ერთმანეთთან ხუთი პარტია აქვთ ნათამაშევი: ოთხი შეხვედრა ყაიმით დაამთავრეს, ერთი კარპოვმა მოიგო.

დაძაბული იყო ჰ. მეკინგ (ბრაზილია) — ვ. კორჩნოის (სსრ კავშირი) მატჩი. გამარჯვებული მხოლოდ XIII პარტიაში გამოვლინდა. მეკინგი წამდაუწუმ აცხადებდა ნახევარფინალში გავალო. მაშინაც, როცა კორჩნოი ლიდერობდა, გულს არ იტეხდა.

სტარტზე მეკინგი უკეთესად თამაშობდა, I და III პარტიებში მას მოგების შანსიც ჰქონდა, როცა დებიუტში უპირატესობას მიაღწია. კორჩნოიმ შეამჩნია, რომ მეკინგი ენდშპილში მოიკოჭლებდა და ამიტომ ბრძოლის სიმძიმეც იქით გადაიტანა. V და VII პარტიების მოგების შემდეგ კორჩნოიმ ზედიზედ ოთხი შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. XII პარტია მეკინგმა მოიგო. ამ მარცხის შემდეგ კორჩნოიმ XIII პარტიაში გაიმარჯვა და მატჩიც წარმატებით დაამთავრა — 3:1 (9 ყაიმი).

პეტროსიანსა და პორტიშსაც მძაფრი ფინიში ჰქონდათ. საბჭოთა დიდოსტატი მეთოდურად იგებდა მატჩს, მაგრამ მერე გაცივდა, უქეიფოდ შეიქნა და ბრძოლაც გაუჭირდა. X და XII პარტიების მოგებით პორტიშს იმედი მიეცა, მაგრამ კრიტიკულ სიტუაციაში პეტროსიანმა იცის შემართებით თამაში. სწორედ ასე ითამაშა მან XIII პარტიაში და გაიმარჯვა კიდეც — 3:2 (8 ყაიმი).

თქმა არ უნდა, პეტროსიან — კორჩნოის ნახევარფინალური მატჩი საინტერესო იქნება. 1971 წელს მათ ითამაშეს მსგავსი მატჩი, რომელიც პეტროსიანმა ერთი ქულის უპირატესობით მოიგო.

პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩების ანალიზით შეიძლება ბევრი რამ საინტერესო შევიტყოთ. მაგალითად, მატჩებში გათამაშებულ 40 პარტიაში 15 შედეგიანია, მათგან 14 თეთრებმა მოიგეს, ერთი — შავებმა (სპასკიმ).

ნახევარფინალური მატჩები აპრილში გაიმართება, თითოეულ მატჩში მეტოქენი ოთხ მოგებამდე ითამაშებენ, ოღონდ პარტია 20-ზე მეტი არ იქნება.

თ. გიორგაძე.

მწვრთნელი და მოწაფეები

ამ მწვრთნელს რკინის ქალამნები არ აცვია და ხელში რკინის კეტი არ უჭირავს. მის მოღვაწეობაში არაფერია უჩვეულო. ჰყავს გუნდი, აქვს დიდი სურვილი, რომ თავისი მოწაფეები სწორ გზაზე დააყენოს, რაც მთავარია, თუ ხატოვნად ვიტყვით, ძალა შესწევს ქადილისა, ესე იგი, ჭაბუკთა გუნდის აღსაზრდელად საჭირო კვალიფიკაცია აქვს. მორჩა და გათავდა. ეს დახასიათება უფრო ანკეტურ მონაცემებს ჰგავს, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი აღმოაჩენს და გაიგებს ძუნწი სტრიქონების მიღმა რომ საქმე გვაქვს თავის პროფესიაზე შეყვარებულ ადამიანთან.

მხოლოდ დიდი სიყვარულით იქმნება ნამდვილი საქმე, მხოლოდ დიდი წვითა და დაგვით შეიძლება შეიქმნას ისეთი ცოცხალი, მონოლითური ორგანიზმი, როგორიც, ვთქვათ, ჭაბუკ ფრენბურთელთა ნაკრები გუნდი გახლავთ. არ არის ეს ადვილი, სრულიადაც არა.

და მაინც, როგორ შეხვდა ერთმანეთს პირველად მწვრთნელი და გუნდი ან, უფრო ზუსტად, როგორ იპოვეს ერთმანეთი მწვრთნელმა და მოთამაშეებმა? რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს ლევან სტეპანიანს პირველად 1970 წელს, ბულგარეთის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში გავეცანი. მაშინ იგი შედარებით ახალბედა მწვრთნელი გახლდათ და თავად ესაჭიროებოდა ბევრი რამის სწავლა. ერთი სიტყვით, იგი ბულგარეთში უდარდელ ტურისტად კი არ ჩამოსულა, არამედ სასწავლებლად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად. როგორც ჩემპიონატის დღეებში თვითონაც ამბობდა, ვერც ერთი სპეციალური წიგნი, ვერც ერთი სპორტული სემინარ-ლექცია ვერ ეტყოდა და ვერ გააგებინებდა ახალგაზრდა მწვრთნელს იმდენს, რამდენიც მსოფლიო პირველობის დროს ნახა. მისი უბის წიგნაკი ჩანაწერებით იყო სავსე. იგი აანალიზებდა საერთაშორისო კლასის გუნდების გამოცდილებას და, როცა ეკითხებოდნენ, რად გინდა ამდენს რომ იწერო, უპასუხებდა. ისე, ჩემთვისო... მერე აღმოჩნდა, რომ ეს ჩანაწერები მას თავისი პატარა ფრენბურთელებისთვის სჭირდებოდა.

1971 წელს საქართველოს ჭაბუკ ფრენბურთელთა ნაკრები ლევან სტეპანიანის ხელმძღვანელობით იმარჯვებს მოგილიოვში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში. არ იფიქროთ, თითქოს სტეპანიანის „ბულგარულ ჩანაწერებს“ მაგიურ ზემოქმედებას ვაწერდეთ, მაგრამ, მერწმუნეთ, გუნდის გამარჯვებაში ამანაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ნურც იმას იფიქრებთ, თითქოს ნაკრები გუნდის ყველა წევრი მხოლოდ სტეპანიანის აღზრდილი იყოს. ამას არავინ ამბობს, არც არავინ უკარგავს ამაგს ბევრ სხვა მწვრთნელს. მაგრამ სტეპანიანის აღზრდილი ფრენბურთელები ქმნიან ნაკრების ბირთვს, რომლის გარშემოც იკრიბებიან რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ჭაბუკი ფრენბურთელები.

აი, როგორ ხვდებიან ერთმანეთს მწვრთნელი და ნაკრები გუნდი. მაგრამ ერთია შეხვედრა და სულ სხვაა მონოლითური კოლექტივის შექმნა, მით უმეტეს, რომ ჭაბუკთა ნაკრებს საზოგადოდ მკვეთრად გამოკვეთილი სპეციფიკა დაჰყვება. იგი ჰგავს მდინარეს, რომელშიც ორჯერ ვერ შეხვალ, ანუ რომელსაც ორჯერ ზედიზედ ვერ შეხვდები. ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელი და სპორტსმენები მხოლოდ გარკვეული დროის მანძილზე არიან ერთად. მერე, სულ მალე, ისინი ემშვიდობებიან ერთმანეთს. ყოფილი ჭაბუკები „მამაკაცების“ ფრენბურთში მიდიან... რა არის ამ დროს საჭირო, ანუ როგორ უნდა შეავსოს გამუდმებით მწვრთნელმა თავისებური ვაკუუმი? აი, სად იჩენს თავს მწვრთნელის ნიჭი, კვალიფიკაცია და მცდელობა. მხედველობაში გვაქვს მწვრთნელის უნარი, რომ შექმნას და კოლექტივში დაამკვიდროს წარუშლელი ტრადიციები, რათა მომდევნო თაობამ არ გაფლანგოს წინამორბედთა მიერ დაგროვილი გამოცდილება, სწრაფვა გამარჯვებისკენ, ტექნიკურ-ტაქტიკური ხერხები, უთვალავი წვრილმანი, რომლისგანაც იქმნება ნამდვილი ფრენბურთი. სტეპანიანს შესწევს საამისო უნარი. ვილაპარაკოთ მხოლოდ ციფრების ენით. აი, სტეპანიანის აღზრდილთა სამწლიანი გზის დამახასიათებელი ეტაპები. 1972 წელს — III ადგილი საკავშირო პირველობაში; 1973 — სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრებ გუნდში ვხედავთ სტეპანიანის მოწაფეებს — ვ. ტკაჩენკოსა და ვ. დოროხოვს, რომლებიც ევროპის ჩემპიონები გახდნენ; 1973 — სპორტსკოლების საკავშირო ტურნირში სტეპანიანის თავკაცობით იმარჯვებს ჩვენი რესპუბლიკის ბავშვთა ნაკრები (აღსანიშნავია, რომ ამ ყაიდის შეჯიბრება შარშან პირველად გაიმართა); 1973 — თბილისის საკავშირო ზონალურ შეჯიბრებაში საუცხოოდ გამოდის საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები და ოქროს ქულით შედის ამ ასპარეზობის ფინალურ სტადიაში (ცნობისთვის: ზონალურ ტურნირში საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს თბილისელი მოსწავლე მ. კალანდაძე, ხოლო საუკეთესო გამთამაშებლის პრიზი გადაეცა რუსთაველ ნ. პავლოვს).

რადგან ამდენი ციფრი და ფაქტი გადავთვალეთ, უპრიანია ჯამის გამოყვანაც: 1969 წლიდან, ესე იგი იმ პერიოდიდან, რაც სტეპანიანმა თავისი „ოცნების გუნდის“ შექმნა დაიწყო, კოლექტივი არც ერთხელ არ დარჩენილა საკავშირო ფინალური შეჯიბრებების მიღმა.

ჩვენ არ გვინდა ამ წერილიდან მკითხველმა გააკეთოს დასკვნები, თითქოს უფროსთა ფრენბურთშიც ასეთივე მდგომარეობაა. პირიქით, ქართული ფრენბურთი ავადაა და მკურნალის ხელი ესაჭიროება. საბედნიეროდ, ჭაბუკები, როგორც ხედავთ, ჯერჯერობით ჩინებულად ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას. უფროსთა ფრენბურთზე კი ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გვექნება ლაპარაკი.

ა. გოგელია.

სურათზე: მწვრთნელი ლ. სტეპანიანი რჩევა-დარიგებას აძლევს თავის აღსაზრდელებს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ნანას საუცხოო სტარტი

კისლოვოდსკი, 18 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ XX პარტყრილობის სახელობის სანატორიუმში გაიხსნა ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირის პრიზიორთა დამატებითი მატჩ-ტურნირი პრეტენდენტის ორი საგზურისთვის. მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ: 1. ი. ლევიტინა (ლენინგრადი), 2. ნ. კონოპლიოვა (მოსკოვი), 3. მ. შული (ლვოვი), 4. ნ. ალექსანდრია (თბილისი). მეტოქენი ოთხ-ოთხჯერ შეხვდებიან ერთმანეთს.

I ტურში ალექსანდრია ლევიტინას შეხვდა. სიცილიურ დაცვაში ლენინგრადელი ოსტატი აგრესიულად თამაშობდა. გრძელი როქის შემდეგ მან ცენტრში დარჩენილ ალექსანდრიას მეფეს შეუტია, მაგრამ საკმარისი იყო ოდნავი შეფერხება, რომ ინიციატივას თბილისელი მოჭადრაკე დაეუფლა და ენერგიული თამაშით შეხვედრაც მოიგო.

კონოპლიოვა — შულის შეხვედრის ბედი ცაიტნოტში გადაწყდა. მოსკოველმა მოჭადრაკემ ვერ მოასწრო საკონტროლო სვლების გაკეთება. მე-40 სვლაზე მას საათზე ალამი ჩამოუვარდა და წაგება ჩაეთვალა.

II ტურში ბრწყინვალედ გაიმარჯვა ალექსანდრიამ. სიცილიურ დაცვაში, რომელიც შულმა აირჩია, მე-8 სვლაზე ნანამ გამოიყენა მძაფრი კომბინაციური გაგრძელება, რომელიც თავის მწვრთნელ დიდოსტატ ბ. გურგენიძესთან ერთად ჰქონდა დამუშავებული.

შთამბეჭდავია ქართველი მოჭადრაკის მე-11 და მე-14 სვლები. მომხიბვლელია მისი იერიში (მე-19 სვლა) შულის მარტოხელა გვირგვინოსანზე.

სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა ბოლოს იძულებული შეიქნა ეტლში ლაზიერი დაეთმო, მაგრამ წაგებას თავი მაინც ვერ დააღწია.

გვთავაზობთ ამ პარტიას:

ალექსანდრია — შული

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. კb5 g6 4. 0—0 კg7 5. ეe1 e5 6. b4 მ:b4 7. კb2 ლc7 8. c3 მc6 9. d4 d6 10. d5 a6 11. მa3 მფe7 12. dc ab 13. cb ლ:b7 14. c4 b4 15. მb5 ლb8 16. a3 მf6 17. ab ე:a1 18. ლ:a1 cb 19. მ:e5 de 20. კ:e5 ლb6 21. კd6+ მფe8 22. მc7+ მფd7 23. c5 მe8 24. კe5 ლ:c5 25. კ:g7 მ:g7 26. ეc1 ლ:c1+ 27. ლ:c1 კb7 28. მb5 მe6 29. ლd2+ მფc6 30. ლ:b4 ეd8 31. h4 კa6 32. მc3 ეd4 33. ლb8 კd3 34. ლe8+ ეd7 35. მd5 მc7 36. მe7+ მფd6 37. მc8+ მფc6 38. მa7+ მფd6 39. e5+. შული დანებდა.

ლევიტინამ (შავებით) კონოპლიოვასთან თამაში ვერ გაათანაბრა, მაგრამ კონოპლიოვა ბევრს ფიქრობდა და მალე ცაიტნოტის საფრთხე დაემუქრა. ლევიტინამ ისარგებლა ამით და 22-ე სვლაზე მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. კონოპლიოვამ წინადადება მიიღო.



ტრადიციას არ ღალატობენ

[illegible]

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონები ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი კარგა ხანია ჩამოშორდნენ სპორტს და ამიერიდან ყინულზე ბალეტში გვიჩვენებენ თავიანთ ხელოვნებას. ცნობილი სპორტსმენები ლენინგრადის დასის სოლისტები არიან, მაგრამ „შეჯიბრებებში" მონაწილეობა მაინც არ შეუწყვეტიათ.

ახლახან იაპონიაში მოეწყო ყინულზე ბალეტის სოლისტთა საერთაშორისო ფესტივალი „მშვიდობის თასი", რომელშიც საბჭოთა არტისტებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა. სარბიელზე გამოვიდა ბოლო წლების ყველა ოლიმპიური თუ მსოფლიო ჩემპიონი. ფიგურული ციგურაობის საბჭოთა ოსტატებმა იქაც გამოიჩინეს თავი — ფესტივალის ორი მთავარი პრიზი მოიპოვეს.

თავდაპირველად მონაწილენი სავალდებულო პროგრამით გამოდიოდნენ. ეს იყო წყვილთა სრიალის ჩვეულებრივი პროგრამა, ოღონდ შემსრულებლებს მუსიკას სარბიელზე გამოსვლამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე აცნობდნენ. შემდეგ იწყებოდა საკონცერტო პროგრამა დროის შეუზღუდავად. ეს სამჭიდი მთავრდებოდა ნებისმიერი პროგრამით, სადაც დრო ასევე შეუზღუდავად იძლეოდა. შეფასებათა სისტემა იყო 0-დან 10 ბალამდე.

ლ. ბელოუსოვასა და ო. პროტოპოპოვს უდიდესი წარმატება ხვდათ. მსაჯებსა და მაყურებლებს განსაკუთრებით მოეწონათ მათი ნებისმიერი პროგრამა, რომელსაც ცნობილი საბჭოთა ოსტატები რამდენიმე წლის წინ ამზადებდნენ.

* * *

სურათზე: ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი გამოდიან ლენინგრადის ბალეტის საკონცერტო პროგრამით.

ვ. გალაქტიონოვის ტექსტი და ფოტო.

მ. ნ. ბერიევი

ბიბ—ლიოთეკა

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 57 წლის ასაკში გარდაიცვალა სკკპ წევრი 1942 წლიდან, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი კრივში, სამამულო ომის მონაწილე მიხეილ ნიკოლოზის ძე ბერიევი.

მ. ბერიევი დაიბადა 1917 წელს თბილისში, მუშის ოჯახში. 1932 წლიდან დაიწყო შრომითი საქმიანობა ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში. 1934 წლიდან შეუდგა მეცადინეობას კრივის სექციაში, სადაც სულ მალე მიიქცია საერთო ყურადღება. 1935 წელს შევიდა საქართველოს ფიზკულტურის ტექნიკუმში, სწავლის პერიოდში კიდევ უფრო ღრმად დაეუფლა კრივის ხელოვნებას, რამდენიმეჯერ მოიპოვა თბილისისა და საქართველოს ჩემპიონის წოდება.

ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მ. ბერიევმა სწავლა განაგრძო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში. 1941 წლიდან იგი სამამულო ომის ფრონტზეა.

1947 წლიდან მ. ბერიევი მუშაობდა თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1952-1953 წლებში იყო თბილისის ოლქის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, 1954-1964 წლებში კი — თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. საპასუხისმგებლო სამუშაოს იგი კარგად უთავსებდა საქართველოს მოკრივეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის საქმიანობას. 1964-1967 წლებში მ. ბერიევი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ნაკრები გუნდების განყოფილების უფროსია.

1967-1973 წლებში მ. ბერიევი სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" თავმჯდომარის მოადგილედ გადავიდა, ხოლო 1973 წლიდან — თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის უფროსი მწვრთნელი იყო.

მ. ბერიევმა განვლო დიდი შრომითი გზა რიგითი მუშიდან ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელ მუშაკამდე. ყველას, ვინც კი იცნობდა მ. ბერიევს ან უმუშავია მასთან, მუდამ ემახსოვრება ეს თავმდაბალი, გულისხმიერი, გულთბილი ადამიანი, სპორტის დიდი ენთუზიასტი.

ამხანაგების ჯგუფი.

ბოლო რეპეტიცია

გასულ კვირას მოსკოვში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. შაბათს გაიმართა II ტურის მატჩები, რომლებიც ასეთი შედეგებით დამთავრდა: მოსკოვი — სსრ კავშირი 17:21 (4:12), ჩეხოსლოვაკია — გფრ 15:15 (7:8). შეჯიბრების ბოლო დღეს სსრ კავშირის ნაკრებმა სძლია ჩეხოსლოვაკიის გუნდს — 23:13 (9:5), მოსკოველებმა დაამარცხეს გფრ-ის ხელბურთელები — 13:11 (6:7). სსრ კავშირის ნაკრებმა დაუმარცხებლად განვლო ტურნირი და I ადგილი დაიკავა. საბჭოთა ხელბურთელებისთვის ეს იყო უკანასკნელი რეპეტიცია მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც გდრ-ში გაიმართება 28 თებერვლიდან 10 მარტამდე.

გთავაზობთ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის საბოლოო ცხრილს.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	3	3	0	0	65—45	6
მოსკოვი	3	2	0	1	51—48	4
გფრ	3	0	1	2	41—50	1
ჩეხოსლოვაკია	3	0	1	2	44—58	1

ხელბურთი

რეკორდები

სოფია, 18 თებერვალი. დარბაზებისთვის ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარდა აქ გამართულ სტუდენტ მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაში. ჩეხოსლოვაკიელმა სტუდენტმა ქალმა ჰ. ფიბინგეროვამ ბირთვი ჰკრა 20 მეტრსა და 36 სანტიმეტრზე და 66 სმ-ით გააუმჯობესა საბჭოთა სპორტსმენ ნ. ჩიჟოვას მიღწევა.

დასავლეთ ბერლინი, 18 თებერვალი. ცნობილმა ბელგიელმა მძლეოსანმა ე. პუტემანსმა ევროპის ორი რეკორდი (დარბაზებისთვის) დაამყარა. 5000 მეტრის გარბენისას მან 3 მილზე 13.13,3 აჩვენა, რაც კონტინენტის მიღწევაა, ხოლო მთელი მანძილის დაფარვას 13.38 მოანდომა.

ტორონტო, 18 თებერვალი. აქ გამართულ მძლეოსანთა ტრადიციულ საერთაშორისო ასპარეზობაში თავი გამოიჩინეს ფ. ლარიუმ (აშშ) და კანადელმა მორბენალმა ქალმა ა. სანდერსმა. პირველმა 1500 მეტრის გარბენას 4 12,2 მოანდომა, მეორე უძლიერესი იყო 600 იარდზე რბენაში—1 18,4. ორივე შედეგი ახალი მსოფლიო მიღწევაა დარბაზებისთვის.

„რეკორდები მე არ მაინტერესებს"

ყოველთვის, როცა კორესპონდენტები საუბარს ან ინტერვიუს იწყებენ ცნობილ ბომბარდირთან, მიუნხენის „ბაიერნისა" და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების ცენტრფორვარდთან გერდ მიულერთან, პირველ შეკითხვებს, ჩვეულებრივ, რეკორდებზე აძლევენ. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ამ გამოჩენილი ფეხბურთელის სახელი სწორედ გატანილ გოლებთან, მათგან გამომდინარე სტატისტიკურ გამოთვლებთან და რეკორდებთანაა დაკავშირებული. ბუნებრივიცაა — სტატისტიკოსებს ჯერ ვერ მოუნახავთ სხვა მაგალითი, რომ ფორვარდს თავისი ქვეყნის ჩემპიონატში ეთამაშოს 300 მატჩი და გაეტანოს 250 გოლი, ესე იგი თითქმის ყოველ მატჩში — გოლი! ასე რომ, „ადამიანი-გოლის" სახელწოდება ყველაზე კარგად განსაზღვრავს გ. მიულერის არსს ფეხბურთში.

მაგრამ მიულერის შედეგიანობა კიდევ უფრო მაღალია გფრ-ის ეროვნული ნაკრების მატჩებში. სწორედ ამით დაიწყო ბომბარდირთან საუბარი დასავლეთგერმანელმა ჟურნალისტმა გ. ტესერმა. ვფიქრობთ, ეს ინტერვიუ, შემოკლებული სახით, ინტერესმოკლებული არ იქნება „ლელოს" მკითხველთათვისაც.

● **გფრ-ის ნაკრებში ჩატარებულ 48 მატჩში თქვენ გაიტანეთ 60 გოლი. ამით დამხობილი გაქვთ ევროპის ყველა რეკორდი და, თუ შევაჯამებთ თქვენს მიერ გატანილ ყველა ბურთს, შეგიძლიათ მიზნად დაისახოთ თვით პელეს დაწევაც. ისახავთ თუ არა მიზნად ასეთ ამოცანას?**

— დამიჯერეთ, რეკორდები სრულიადაც არ მაინტერესებს და დარწმუნებული ვარ, არც პელე იკლავდა თავს საამისოდ. ვცდილობ, უბრალოდ, რაც შეიძლება უკეთესად გავაკეთო ჩემი საქმე, ანუ ვითამაშო რაც შეიძლება უკეთ. როცა მინდორზე გამოვდივარ, მხოლოდ იმას ვფიქრობ, მთელი ჩემი შესაძლებლობით მოვეხმარო საკუთარ გუნდს მატჩის მოგებაში. და თუ „ბაიერნი" ან ნაკრები იმარჯვებს, ჩემთვის აბსოლუტურად სულ ერთია, მე გავიტანე გოლი თუ სხვამ. ალბათ მართალი იყო ინგლისელი ჯიმი გრივსი, როცა თქვა — გოლი ჩემი პროფესიააო მაგრამ ამ სიტყვებს ვიხსენებთ მხოლოდ მაშინ, როცა ვმარცხდებით და მაშინ მაწუხებს ის აზრი, რომ ვერ გავიტანე იმდენი გოლი, რამდენიც საჭირო იყო გამარჯვებისთვის. გოლების გატანა ხომ ჩემი პროფესიაა!

● **თქვენ ისეთი ფორვარდის რეპუტაცია გაქვთ, რომელზეც ამბობენ: მას შეუძლია გოლი გაიტანოს მაშინ, როცა კი მოესურვებაო. ეს, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულადაა ნათქვამი, მაგრამ ძნელად, რომ თქვენი თამაში უგოლოდ დამთავრდეს. რით ახსნით თქვენს ასეთ მიღწევებს, როცა თანამედროვე ფეხბურთში შესამჩნევია შედეგიანობის საერთო დაქვეითება?**

— უნდა გამოგიტყდეთ, მე ხეირიანი თეორეტიკოსი ვერა ვარ. ამას გარდა, საკმაოდ მახსოვს მატჩებიც, სადაც გოლი არ გამიტანია. ჩვეულებრივ, ჩემი მოწინააღმდეგე მცველები თვალს არ მაცილებენ, მათი წყალობით ზოგჯერ სრულიად ვერ ვმონაწილეობ სათამაშო ეპიზოდებში და ყველა ჩემი ცდა — მივიღო ბურთი, უშედეგოდ მთავრდება. მაგრამ გოლის გასატანად საჭიროა წამის მეათედები და მეც 90 წუთის მანძილზე სწორედ ამ მეათედებისთვის ვიბრძვი. ჩემი აზრით, ინსტინქტური უნარი მაქვს შექმნილ სიტუაციაში მცველზე უკეთესად გავერკვე, განსაკუთრებით საჯარიმო მოედანზე. ჟურნალისტები ამბობენ, ეს წინასწარხედვააო. მე კი მგონია ეს ჯილდოა მუდმივი ყურადღებიანობისა და შრომისმოყვარეობისთვის. ყოველ მატჩში თითოეულ ფორვარდს აქვს შესაძლებლობა გაიტანოს ბურთი და მეც ყველაფერს ვუქვემდებარებ სწრაფვას, რომ არ გავუშვა ხელიდან ასეთი შესაძლებლობა.

● **1967 წელს თქვენ ოპერაცია გადაიტანეთ და მას შემდეგ ხელში ლითონის ფირფიტა გაქვთ ჩამაგრებული. ტრავმა სხვაც საკმაოდ გქონიათ. შეუძლებელია არ გაწუხებდეთ ეს გარემოება.**

— ყოველნაირად ვცდილობ არ ვიფიქრო ამაზე, თანაც, ყოველთვის მახსოვს რომ ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მატჩი ჩემს ცხოვრებაში ვითამაშე თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში „გლაზგო რეინჯერსის" წინააღმდეგ 1967 წელს. სწორედ მაშინ, როცა ხელი თაბაშირში მქონდა და ძალიანაც მტკიოდა.

● **ევროპის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები ვეღარ არის უწინდებურ ფორმაში. როგორ გგონიათ, რატომ?**

— მიზეზი, ჩემი აზრით, ორია. ჯერ ერთი, ვერც ერთი ჩვენი წამყვანი მოთამაშე ვერ გადაურჩა ტრავმებს და მწვრთნელი შიონი იძულებულია გამუდმებით ცვალოს შემადგენლობა. მეორეც და უმთავრესი — მას შემდეგ, რაც ნეცერი გაიყიდა მადრიდის „რეალში", დადის ხმები, თითქოს სურთ იყიდონ ჩვენი ნაკრების თითქმის ყველა მოთამაშე. ეს კი გვანერვიულებს და აქვეითებს გუნდის საბრძოლო სულისკვეთებას.

● **არის თუ არა იმის საშიშროება, რომ ამგვარი ატმოსფერო ხელს შეუშლის გფრ-ის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებაში?**

— ეტყობა, ასეთი საშიშროება არსებობს. ხმები ყიდვა-გაყიდვის შესახებ ყოველთვის ანერვიულებს მოთამაშეს, ხელს უშლის მას მზადებაში, ფინალურ თამაშებამდე კი ცოტა დრო დარჩა. მაგრამ მიიღეთ მხედველობაში, რომ ჰელმუტ შიონის სახით ჩვენ გვყავს თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი და მისი პროფესიული, აგრეთვე ადამიანური თვისებების წყალობით დავძლევთ ყველა სიძნელეს.

● **ნიშნავს თუ არა ეს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს განზრახული აქვს 1954 წლის წარმატების გამეორება?**

— ახლა ეს უფრო ძნელია. მაშინ გუნდი აუტსაიდერად ითვლებოდა, მას სერიოზულად არავინ ღებულობდა მხედველობაში. ახლა ჩვენ ფავორიტები ვართ, ეს კი ართულებს საქმეს.

● **ცხოვრებაში თქვენ მშვიდი კაცი ხართ. ამას წინათ შევიტყვეთ, რომ ბავარიის ფინანსთა მინისტრმა ინსპექტორის პოსტიც კი შემოგთავაზათ მეწარმეთა და ფირმებს შორის კონფლიქტების მოსაგვარებლად. ეს როგორღაც არ ეფარდება მიულერ-ფეხბურთელს, რომელიც მინდორზე ტემპერამენტიანი, იმპულსური, ფეთქებადი კაცია. როგორ უთავსებთ ერთმანეთს ასეთ საწინააღმდეგო თვისებებს?**

— იმ მეტისმეტი დაძაბულობის ვითარებაში, რომელიც პროფესიულ ფეხბურთში სუფევს, საჭიროა დაიოკო ნერვები, ფსიქიკა, გქონდეს სალი აზროვნება. მინდორზე რომ ნამდვილი მებრძოლი ვიყო, ვცდილობ ცხოვრებაში შევინარჩუნო სიმშვიდე, სიწყნარე, მთელს ჩემს აგრესიულობას და იმპულსებს კი ვიზოგავ უშუალოდ თამაშის დროს მეტოქის მცველებთან და მეკარესთან საბრძოლველად.



დიდი ეჭვობს

სახელგანთქმულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა დიდიმ ეჭვი გამოთქვა, რომ ბრაზილიას მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში თუ არ ეყოლა პელე, გერსონი, ტოსტაო და კარლოს ალბერტო, მას პრაქტიკულად შანსი არ ექნება იბრძოლოს თავისი წოდების შენარჩუნებისთვის.

დიდის აზრით ფავორიტები იქნებიან ევროპული სკოლის წარმომადგენლები — გფრ, ჰოლანდია, იტალია.

ორი ნაკრები

პოლონურმა საფეხბურთო გაზეთმა „პილკა ნოჟნამ" ამას წინათ გამოაქვეყნა სპორტულ მიმომხილველ მ. შიმკოვიაკის წერილი ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელთა თაობაზე.

შიმკოვიაკის აზრით ყველა დროის იდეალური მსოფლიო ნაკრები ფეხბურთში ასე უნდა გამოიყურებოდეს: ზამორა, კარლოს ალბერტო, ბეკენბაუერი, მური, ნ. სანტოსი, ბოჟიკი, დი სტეფანო, მეტიუზი, პელე, პუშკაში, ორსი.

მიმომხილველმა შეადგინა ნაკრების იდეალური შემადგენლობა, რომელიც მოიცავს პერიოდს 1939 წლამდე: ზამორა (ესპანეთი), ფონი (იტალია), ჟორდანი (საფრანგეთი), კულისი, ჰეპგუდი (ორივე — ინგლისი), მონტი (იტალია), ნაუში, ზიშეკი (ორივე — ავსტრია), პიოლა (იტალია), ზინდელარი (ავსტრია), ორსი (იტალია-არგენტინა).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04455